ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4423857

ნომერი: AR1668938

თარიღი : 19.03.2019

გაცემის თარიღი : 28.03.2019

გაცნობის თარიღი : 28.03.2019

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ქერჩის , N 12 , (ნაკვ.29/17) ; ქალაქი თბილისი , ქუჩა ქერჩის , და უშიშროების აკადემიასთან ჩასახვევი გზის გადაკვეთასთან; ქალაქი თბილისი , ქუჩა ქერჩის , მიმდებარედ (ნაკვეთი 29/106);

დამკვეთი-განმცხადებელი

- მამუკა გელაშვილი პ/ნ 57001003308
- საქართველო, ქალაქი თბილისი, დიღომის მასივი, IV კვარტალი, კორპუსი 11, ბინა 11

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება
- III კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)

ქ. თბილისის მერიის სსიპ - ქ. თბილისის არქიტექტურის 2015 წლის 26 ნოემბრის №2296229 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმი

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2019 წლის 19 მარტის AR1668938 განცხადებით მომართა მამუკა გელაშვილმა და მოითხოვა სამსახურის 2015 წლის

26 ნოემბრის №2296229 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა, განახლებული საკადასტრო კოდის, ფართობის, კონფიგურაციის და ფუნქციური ზონების დაფიქსირების მიზნით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, სამსახურმა შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ საცხოვრებელ ზონა 6 (სზ-6) -ში და სარეკრეაციო ზონა 2-ში (რზ-2), მრავალფუნქციური კომპლექსის აშენების მიზნით, 2015 წლის 26 ნოემბრის №2296229 ბრძანებით დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები, ხოლო 2017 წლის 18 იანვრის №3052719 ბრძანებით შეთანხმდა არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა (კორექტირებული პროექტის ბრძანების ნომერი №4009270; 12/06/2018 წ.).

სამსახურის 2017 წლის 21 ნოემბრის №3695347 ბრძანებით ცვლილება შევიდა ქ. თბილისის მერიის სსიპ - ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 26 ნოემბრის №2296229 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში და ფუნქციური ზონის (ზონები) გრაფაში დაფიქსირდა მხოლოდ საცხოვრებელი ზონა 6 (სზ–6).

დღევანდელი მდგომარეობით დგინდება, რომ მოხდა მომიჯნავე სარეკრეაციო ზონა 2-ის ფუნქციური დანიშნულების ტერიტორიის შემოერთება, რის შედეგადაც შეიცვალა მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი, ფართობი, კონფიგურაცია და საცხოვრებელ ზონა 6 (სზ-6) დაემატა სარეკრეაციო ზონა 2 (რზ–2), შესაბამისად განმცხადებელი ითხოვს აღნიშნული ცვლილების ასახვას 2015 წლის 26 ნოემბრის №2296229 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია ცვლილება შევიდეს 2015 წლის 26 ნოემბრის №2296229 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ - ქ. თბილისის არქიტექტურის 2015 წლის 26 ნოემბრის №2296229 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში და დაემატოს: სარეკრეაციო ზონა 2 (რზ–2);
2. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ - ქ. თბილისის არქიტექტურის 2015 წლის 26 ნოემბრის №2296229 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში და დაემატოს შენიშვნა: დაცული იქნეს ფუნქციურ ზონებს შორის საზღვარი, შენობა–ნაგებობის განთავსება განხორციელდეს საცხოვრებელი ზონა 6 (სზ–6)–ის არეალში;
3. ქ. თბილისის მერიის სსიპ - ქ. თბილისის არქიტექტურის 2015 წლის 26 ნოემბრის №2296229 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში დაფიქსირდეს განახლებული ფუნქციური ზონების დანართი (იხილეთ დანართი).
4. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მერიის სსიპ - ქ. თბილისის არქიტექტურის 2015 წლის 26 ნოემბრის №2296229 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: შარტავას ქუჩა №7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

- I თავი ასახავს საფუძველმდებარე ინფორმაციას - საყრდენი მონაცემები მიწის ნაკვეთის შესახებ რომლის, ანრომელზე მდგომი შენობა-ნაგებობის განვითარებაც არის დაგეგმილი;
- II თავში მოცემულია ძირითადი მოთხოვნები (პირობები) - კანონმდებლობით უშუალოდ გათვალისწინებულივალდებულებები, მიწის ნაკვეთის (და შენობა-ნაგებობის) სამშენებლო განვითარებაზე;
- III თავში მოცემულია დამატებითი ან/და სპეციალური მოთხოვნები, რომელიც გათვალისწინებულია „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57დადგენილებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენლებით „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების” და სხვა მოქმედი ტექნიკურირეგლამენტებითა და ნორმატივებით;
- IV თავი შეიცავს ზოგად ინფორმაციას მშენებლობის ნებართვის II და III სტადიებთან დაკავშირებით.